საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი
ზედამხედველობის დეპარტამენტი

ოქმი № 093620

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ

ქ. ქუთაისი (ოქმის შედგენის ადგილი) — 22. აპრილი 2025 (თარიღი)

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის იმერეთის რეგიონული სამმართველოს
(ოქმის შემდგენლის თანამდებობა, სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონი)

ინსპექტირების განყოფილების უფროსი სპეციალისტი – ინსპექტორი [redacted]

წერეთლის №192

სამართალდამრღვევი: ი/მ გიორგი ხარშილაძე, ს/ნ 60001023724 [redacted]

(დაბადების თარიღი, პირადი №, საცხოვრებელი ადგილი; იურიდიული პირის შემთხვევაში – მისი სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი, იურიდიული მისამართი, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მონაცემები)

გამოვავლინე, რომ ი/მ გიორგი ხარშილაძის მიერ [illegible] საქმიანობის განმახორციელებელ
(სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი)

სახ: ნარჩენების [illegible] ნებართვის №0000003 ნებართვით,
დადგენილი „ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-7 პუნქტის
მოთხოვნა 2025 წლის 30 იანვრამდე წარმოდგენილი არ აქვს სანებართვო
პირობების შესრულების მდგომარეობის ჟურნალი 2024 წლის წლიური ანგარიში

რაც არის:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის _____

ამავე წესმადგენლის ასო-ის 86² მუხლის მეორე ნაწილის დარღვევა,
(მუხლი ან/და მუხლის ნაწილი)

ნარჩენების მართვის კოდექსის _____

_____ დარღვევა.
(მუხლი ან/და მუხლის ნაწილი)

სამართალდამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები.

სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტება:
მიმდინარე წლის 22 იანვარს 13:29 საათზე მიიღო საყოველთაო განსაკუთრებული იქ
ყოფილ ხაშურელებთან ერთად გადაეცა მის მიერ ჩადენილი ადმინისტრაციულ
სამართალდარღვევის შესახებ სამართალდამრღვევი თანახმა იყო ეფქი ეფდეს
მისი თანდასწრების გარეშე და ოქმს ერთი პირი გაეგზავნოს ფოსტით

მოწმეებს (მათი არსებობის შემთხვევაში) განემარტათ თავიანთი უფლება-მოვალეობები, გათვალისწინებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 256-ე მუხლით.

_____
(მოწმის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და მისამართი)

_____

ჩამორთმეულ და დალუქულ იქნა შემდეგი ნივთები და დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მოწმეები (თუ ისინი ესწრებიან): _____
(ხელმოწერა)

_____

ოქმის შემდგენელი: _____
(ხელმოწერა)

სამართალდამრღვევი: _____
(ხელმოწერა ან ხელმოწერაზე უარის აღნიშვნა)

ოქმის ერთი პირი მივიღე: ოქმის ერთი პირი გაეგზავნოს ფოსტით
(სამართალდამრღვევის ხელმოწერა)

დამკვეთი: სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

დამამზადებელი: შპს "პოლიგრაფისტი"
სფს-ს რეგისტრაციის №38-5320

საჩხერის რაიონული სასამართლო

მის. საჩხერე, დ. აღმაშენებლის ქ. №3, ტელ. 0435 22 19 42, ფაქსი 0435 22 19 42

№ 5090 18. 09. 2025 წ.

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის
უფროსის მოადგილეს მთავარ სახელმწიფო ინსპექტორს
ქალბატონ ნელი კორკოტაძეს

მის. ქ. თბილისი, ვლადიმერ წითლანაძის 1 შესახვევი N1

2025 წლის 16 სექტემბრის DES 4 25 000567916 წერილის თანახმად, გეგზავნებათ, საჩხერის რაიონული სასამართლოს 2025 წლის 15 აგვისტოს კანონიერ ძალაში შესული დადგენილება, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე N4/85-2025 წ. ი/მ გ. რიგოლ ხარშილაძის მიმართ.

დანართი : დადგენილება „ 07 " ფურცლად.

პატივისცემით,

ლია ჭიღლაძე

სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების
განყოფილების უფროსი

10962352858560
www.ecd.court.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

15.08.2025 წელი **ქ.საჩხერე**

საჩხერის რაიონული სასამართლო
მოსამართლე ივანე ყიფიანი
სხდომის მდივანი ნათია ბერიძე

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი ორგანო:
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონული სამმართველო

წარმომადგენელი -

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი: ი/მ გრიგოლ ხარშილაძე (პ/ნ 60001023724,

ღია სასამართლო სხდომაზე, განიხილა, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოდან შემოსული სამართალდარღვევის მასალები, **ი/მ გრიგოლ ხარშილაძის** მიმართ გადაცდომისთვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 86²-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

2025 წლის 13 აგვისტოს, **საჩხერის რაიონულ** სასამართლოში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონული სამმართველოდან შემოსულ იქნა სამართალდარღვევის მასალები **ი/მ გრიგოლ ხარშილაძის** მიმართ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 86²-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებით.

1. საქმის განხილვისას დადგენილი გარემოებები:

1.1 2025 წლის 22 ივლისის სამართალდარღვევის №093620 ოქმის თანახმად, **ი/მ გრიგოლ ხარშილაძის** მიერ, რომელიც საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზარას ტერიტორიაზე ფლობს აკვაკულტურის N0000003 ნებართვას, დაარღვია

„აკვაკულტურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნა, კერძოდ 2025 წლის 30 იანვრამდე წარმოდგენილი არ არის სანებართვო პირობების შესახებ 2024 წლის წერილობითი ანგარიში.
აღნიშნული დარღვევების გამო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონული სამმართველოს მიერ 2025 წლის 22 ივლისს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე-240-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №093620 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 86²-ე მუხლის მე-2 ნაწილით;

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი ორგანოს წარმომადგენლის განმარტება:

2.1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი ორგანოს **წარმომადგენელმა** მხარი დაუჭირა სამართალდარღვევის ოქმს და მოითხოვა **ი/მ გრიგოლ ხარშილაძის** საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 86²-ე მუხლის მე-2 ნაწილით სამართალდამრღვევად ცნობა და გათვალისწინებული სანქციის გამოყენება - ჯარიმის სახით.

3. ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის განმარტება:

3.1. ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი **გრიგოლ ხარშილაძე** დაეთანხმა სამართალდარღვევის ოქმს და განმარტა, რომ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში წარდგენილი არ აქვს სანებართვო პირობების შესრულების შესახებ 2024 წლის წერილობითი ანგარიში, რადგან აპირებდა აღნიშნული საქმიანობისათვის თავის დანებებას და მეწარმე სუბიექტის გაუქმების მოთხოვნით მიმართა შესაბამის ორგანიზაციას. თუმცა შემდეგ შცვალა გადაწყვეტილება და აპირებს თავის საქმიანობის გაფართოებას. ბოლო ანგარიში წარადგინა 2023 წლის 30 იანვარს.

4. წერილობითი მტკიცებულებები:

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი (ს.ფ.2);
- აქტი სატელეფონო გასაუბრების შესახებ (ს.ფ.3);
- სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 24.04.2025 წერილობითი მიმართვა ი.მ. გრიგოლ ხარშილაძეს (ს.ფ.4) ;
- ცნობა საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტიდან(ს.ფ.6)
- ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის განმარტება (იხ. სხდომის ოქმი და მასალები).

5. წარმოდგენილი და სასამართლო განხილვისას მიღებული მტკიცებულებების შეფასება და დასკვნები (მოტივაცია):

5.1. სასამართლომ გამოიკვლია სამართალდარღვევის შესახებ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი მისი შედგენის სისწორისა და სრულყოფილების თვალსაზრისით და გააკეთა დასკვნა, რომ იგი სრულად შეესაბამება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 240-ე მუხლის მოთხოვნებს.

შესაბამისად, მას გააჩნია მტკიცებულებითი მნიშვნელობა ამავე კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად. სასამართლომ გამოარკვია აგრეთვე, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების გამომრიცხავი რომელიმე გარემოება სახეზე არ არის.

5.2. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

5.3. სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ორგანო (თანამდებობის პირი) დაადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობას ან არარსებობას, პირის ბრალეულობას მის ჩადენაში და სხვა გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. ეს მონაცემები დადგინდება შემდეგი საშუალებებით: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტებით, დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებებით, ექსპერტის დასკვნით, ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული გამოკვლევის (ტესტირების) შედეგებით, ვიდეო-ფირით ან ფოტო-ფირით, ნივთიერი მტკიცებულებით, ნივთისა და დოკუმენტის ამოღების ოქმით და სხვა დოკუმენტებით.

5.4. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 237-ე მუხლის მიხედვით, ორგანო (თანამდებობის პირი), ხელმძღვანელობს რა კანონით და მართლშეგნებით, მტკიცებულებას შეაფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რაც დამყარებულია საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევაზე მათს ერთობლიობაში, ხოლო 264-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ ორგანო (თანამდებობის პირი) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას მოვალეა დაადგინოს: ჩადენილი იყო თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ბრალეულია თუ არა პირი მის ჩადენაში, ექვემდებარება თუ არა იგი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, არის თუ არა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, მიყენებულია თუ არა ქონებრივი ზარალი, აგრეთვე გამოარკვიოს სხვა გარემოებანი, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

5.5. საქართველოს კანონი „აკვაკულტურის შესახებ" სგანსაზღვრავს აკვაკულტურის საქმიანობის რეგულირებისა და განხორციელების პრინციპებსა და სამართლებრივ საფუძვლებს, აწესრიგებს აკვაკულტურის საქმიანობის განხორციელებისას საკუთრებასთან, აკვაკულტურის ნებართვის გაცემასთან, საზღვაო წყლებში

აკვაკულტურისთვის ზონის გამოყოფასთან, სახელმწიფო კონტროლსა და აკვაკულტურასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს.
აკვაკულტურის სფეროში გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება ამ კანონით, „გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით.
აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის „ა" პუნქტით აკვაკულტურა –განიმარტება, როგორც წყლის ცოცხალი ორგანიზმის (თევზი, მოლუსკი, კიბოსნაირი, წყლის მცენარე) ისეთი საშუალებების გამოყენებით მოშენება (კულტივირება, გამოზრდა, გამრავლება), რომელთა მიზანია ამ ორგანიზმის წარმოების გაზრდა გარემოს ბუნებრივი შესაძლებლობების მიღმა. ეს ორგანიზმი ერთი ან ერთზე მეტი ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრებაში რჩება მთელი პერიოდის განმავლობაში – გამოზრდიდან პროდუქციის მიღების ჩათვლით. წყლის ცოცხალი ორგანიზმის მოშენება გულისხმობს ამ ორგანიზმის გაზრდის ორგანიზებულ პროცესს, მათ შორის, მის გამრავლებას ან რეგულარულ შენახვასა და კვებას ან/და მტაცებლისგან ან სხვა, მსგავსი ჩარევისგან დაცვას აღნიშნული ორგანიზმის ბუნებრივი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში;

5.6.ამავე კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად აკვაკულტურის საქმიანობა ხორციელდება აკვაკულტურის ნებართვის საფუძველზე. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს უფლება, სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – გარემოს ეროვნულ სააგენტოს მიმართოს წერილობითი განაცხადით (დასაბუთებული მოთხოვნით), რათა სახელმწიფო ან ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის ობიექტი, აგრეთვე მის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთი აკვაკულტურის საქმიანობის განხორციელებისთვის გამოიყენოს, და მოითხოვოს აკვაკულტურის ნებართვის გაცემა.
აკვაკულტურის ნებართვა ამ ნებართვის მფლობელს ანიჭებს უფლებას, აკვაკულტურის საქმიანობა აღნიშნული ნებართვით განსაზღვრულ აკვაკულტურის საქმიანობის არეალში განახორციელოს.

5.7. ამავე კანონის მე-8 მუხლის პირველი და მეორე პუნქტის შესაბამისად აკვაკულტურის ნებართვას გასცემს სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გარემოს ეროვნული სააგენტო (შემდგომ – სააგენტო) ამ კანონითა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.
აკვაკულტურის ნებართვა გაიცემა დაინტერესებული პირის – ნებართვის მაძიებლის წერილობითი განაცხადის (დასაბუთებული მოთხოვნის) საფუძველზე, ამ კანონითა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ინფორმაციისა და დოკუმენტების წარდგენისა და სანებართვო პირობების შესრულების შემთხვევაში.
5.8. ამავე კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად აკვაკულტურის ნებართვის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ამ კანონით, აკვაკულტურის ტექნიკური რეგლამენტითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული სხვა ვალდებულებებისა და სანებართვო პირობების შესრულება.

ამავე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად აკვაკულტურის სუბიექტი ვალდებულია სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – გარემოსდაცვითი

ზედამხედველობის დეპარტამენტს და ნებართვის გამცემს ყოველწლიურად, 30 იანვრამდე წარუდგინოს წერილობითი ანგარიში სანებართვო პირობების შესრულების, წლის განმავლობაში მოშენებული აკვაკულტურის ობიექტების (სახეობების მიხედვით) ოდენობების, აკვაკულტურის ობიექტების გამოზრდის ციკლის, სარეალიზაციო ზომების, მათთვის გამოყენებული საკვებისა და საკვები დანამატების ოდენობების (სახეობების მიხედვით) შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ ი/მ გრიგოლ ხარშოლაძეზე საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზარას ტერიტორიაზე 2022 წლის 05 აგვისტოს გაცემულია აკვაკულტურის N0000003 ნებართვა. ი/მ გრიგოლ ხარშილაძეს 2025 წლის 30 იანვრამდე წარდგენილი არ აქვს სანებართვო პირობების შესახებ 2024 წლის წერილობითი ანგარიში. აღნიშნული დარღვევა თავის განმარტებით, სასამართლო სხდომაზე დაადასტურა გრიგოლ ხარშილაძემ(იხ.სხდომის ოქმი)

5.9. საქმის მასალებით, კერძოდ სამართალდარღვევის ოქმით, სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლის, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის წარმომადგენლის აღიარებით, სასამართლოს დადასტურებულად მიაჩნია **ი/მ გრიგოლ ხარშილაძის** მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 86²-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენა, შესაბამისად იგი ბრალეულია ამ ქმედების ჩადენაში.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პირს სახდელი დაედება იმ ნორმატიული აქტით დაწესებულ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევისათვის ამ კოდექსის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა აქტების ზუსტი შესაბამისობით. სახდელის დადებისას მხედველობაში მიიღება ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვნება, მისი ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი (ასკ-ის 33-ე მუხლი).

5.10. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 86²-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად აკვაკულტურის/ექსტენსიური აკვაკულტურის ნებართვის სანებართვო პირობების დარღვევა – გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარამდე.

5.11. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად, თუ ჩადენილია მცირემნიშვნელოვანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, საქმის გადასაწყვეტად უფლებამოსილ ორგანოს (თანამდებობის პირს) შეუძლია გაათავისუფლოს დამრღვევი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და დასჯერდეს სიტყვიერ შენიშვნას. სიტყვიერი შენიშვნა არ გამოიყენება, თუ ჩადენილია იგივე ქმედება განმეორებით, ან თუ დამრღვევის მიმართ ადრე ჩადენილი იმავე ქმედებისათვის ამ მუხლის საფუძველზე გამოყენებული იყო სიტყვიერი შენიშვნა.

ამ ნორმის მოცემულობის გათვალისწინებით სასამართლო განმარტავს, რომ დამრღვევის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების და სიტყვიერი შენიშვნის გამოცხადების საფუძველს წარმოადგენს მის მიერ ისეთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა, რომელიც საქმის გადამწყვეტი

უფლებამოსილი ორგანოს (თანამდებობის პირის) მხრიდან მიჩნეული იქნება მცირემნიშვნელოვნად.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არ განმარტავს მცირემნიშვნელობის ცნების ლეგალურ დეფინიციას, არც მცირემნიშვნელოვან სამართალდარღვევათა ან უფრო მნიშვნელოვან სამართალდარღვევათა ჩამონათვალს და მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნის კრიტერიუმებს ადგენს.

სასამართლო მიიჩნევს, რომ ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე მცირემნიშვნელოვან სამართალდარღვევად მიიჩნევა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით აკრძალული ისეთი ქმედება, რომელიც, თუმცა, მართალია შეიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი ან საჯარო წესრიგის ისეთი დარღვევა, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდენის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

სასამართლო განმარტავს, რომ კანონმდებელი ყოველი კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების, სამართალდარღვევის ხასიათის და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგადი პრინციპების გათვალისწინებით, მცირემნიშვნელოვანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებასა და მისთვის სიტყვიერი შენიშვნის გამოცხადებასთან დაკავშირებით დისკრეციულ უფლებამოსილებას საქმის განმხილველ ორგანოს (თანამდებობის პირს) ანიჭებს.

მოცემულ შემთხვევაში, ჩადენილია მცირემნიშვნელოვანი სამართალდარღვევა (რაიმე ზიანი არ დამდგარა, აღნიშნული დარღვევის გამო პირველადაა პასუხისგებაში) და მიზანშეწონილია **ი/მ გრიგოლ ხარშილაძის** მიმართ გამოყენებულ იქნას სიტყვიერი შენიშვნა.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 10-ე, 22-ე, 86²-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 208-ე, 233-234-ე, 236-ე, 266-268-ე, 271-ე, 273-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. **ი/მ გრიგოლ ხარშილაძე** (პ/ნ 60001023724, მისამართი: საჩხერე, სოფელი ნიგვზარა) ცნობილ იქნას სამართალდამრღვევად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის **86²-ე მუხლის მე-2 ნაწილით** და მცირე მნიშვნელობის გამო სამართალდამრღვევი გათავისუფლდეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან, მიეცეს სიტყვიერი შენიშვნა.

2. **ი/მ გრიგოლ ხარშილაძეს დაევალოს იმ დარღვევის გამოსწორება, რის გამოც შედგა მოცემული ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმი.**

3. დადგენილების ასლები გადაეცეთ მხარეებს.

4. დადგენილების შესახებ მისი გამოტანიდან 10 დღის ვადაში ეცნობოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტს;

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მისამართი: ქ. ქუთაისი, ნიუპორტის ქუჩა #32), საჩხერის რაიონული სასამართლოს (მისამართი: საჩხერე, დ. აღმაშენებლის ქ. № 3) მეშვეობით.

მოსამართლე **ხელმიწერილია** **ივანე ყიფიანი**

ასლი დედანთან სწორია
შესულია ანონიმურ ჟურნალში
საჩხერის რაიონული სასამართლო
ადმინისტრატორი:
28.09.2025 წ.